სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვირის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შეისწავლეს მშობლიური რეგიონის მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, ნოქალაქევის ისტორიული ციხე-ქალაქი - ციხეგოჯი, რომელიც მდინარე ტეხურას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს სენაკის რაიონში. იგი აგებულია ეგრისის ერისთავის ქუჯის მიერ ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში. ციხეგოჯი დასავლეთ საქართველოს -ლაზიკის დედაქალაქი იყო. 737-738 წლებში ქალაქი არაბმა მთავარსარდალმა მურვან იბნ-მუჰამედმა გაანადგურა. პროექტზე მუშაობისას სხვადასხვა წყაროს გამოყენებით შეძლეს ინფორმაციის მოპოვება და სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების ნაწარმოებების და მათი თავისებურებების კვლევა, ინტერპრეტაცია და შეფასება. განახორციელდა ტაძრის კვლევა სხვადასხვა კუთხით (არქიტექტურა, ლანდშტაფი, ფერწერა, რელიეფი, ჩუქურთმა). მოსწავლეებმა მოძიებულ ინფორმაციასა და კვლევის შედეგებზე, ასევე, სხვა საგნებში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, შეძლეს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საინტერესო ფორმის მოფიქრება, სარეკლამო ხასიათის ვიდეორგოლის შექმნა

[redacted]